საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №116/ნ
2013 წლის 29 აგვისტო

ქ. თბილისი

,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანების (სსმ, №146, 19/10/2007) პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. ბრძანების:

ა) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ბ^{1}“ ; ,,ე^{1}“ და ,,ვ^{1}“ პუნქტები:

,,ბ^{1}) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;“

,,ე^{1}) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;“

,,ვ^{1}) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;“

ბ) მე-4 მუხლის ,,დ“; ,,ვ“ და ,,ზ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;“

,,ვ) შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;“

,,ზ) ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.“

2. ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სკოლა ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს მასწავლებელს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.“

3. ბრძანების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 8. შრომის ანაზღაურების ოდენობა

მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოხდება სკოლის ტარიფიკაციის მიხედვით ჩატარებული საათების რაოდენობის შესაბამისად.“

4. ბრძანების მე-9^{1} მუხლი ამოღებულ იქნეს.
5. ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. თუ სკოლასა და მასწავლებელს შორის დადებული კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, სკოლასა და მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს

ხანგრძლივი შრომისუუნარობისას, თუ მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აჭარბებს 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, მასწავლებელს გამოყენებული აქვს ამ დანართის მე-7 მუხლით განსაზღვრული შვებულება.“.

6. ბრძანების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, **მუხლი 12. შრომის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

1. შრომით ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

2. შეთანხმებული ცვლილებები ან დამატებები უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა სათანადო ხელმოწერის შემდეგ. შრომით ხელშეკრულებაში შესული ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების მიმართ ვრცელდება ამ დანართის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**